პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ ც. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 16 ოქტომბერი, 1943 წ. № 216 (6841). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

ზაპოროჟიეს სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს მელიტოპოლისაკენ მიმავალი რკინიგზის გასწვრივ და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები კუვაევო, კუშუგუმი, ოსეტროვკა, კანკრინოვკა, პლავნი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოწინააღმდეგის 22 ტანკი. წამოღებულია დაჯილ, მათ შორის 20 ქვემეხი. გუშინ ჩვენი ჯარების მიერ ქ. ზაპოროჟიეს აღებისას განადგურებული გერმანელთა ჯარების ნაშთები შიმწყვდეულ იქნენ დნეპრთან. ჰიტლერელებმა მდინარეზე გადასვლა სცადეს, მაგრამ მეტ ნაწილად მოსპობილ ან ტყვედ წამოყვანილ იქნენ. სულ ცოტა 1.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დნეპრში დაიხრჩო.

ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს. დაბომბვის შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 23 თვითმფრინავი. გარდა ამისა, დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ მელიტოპოლის ჟუჩებში. გერმანელები ქალაქის ცენტრში მდებარე ჭარხნისა და ეკლესიის შენობებში გამაგრდნენ და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები ჩაახშეს. ჩვენი მებრძოლები ხიშტებითა და გრანატებით მოქმედებდნენ და გერმანელებისაგან გასწმინდეს ქარხანა, ეკლესია და რამდენიმე ჟუჩი. მოწინააღმდეგემ ფრონტის სხვა უბნებიდან გადმოყვანილი ახალი ძალები გამოიყვანა და კონტრიერიშებით სცადა აღედგინა მდგომარეობა. ჰიტლერელთა კონტრიერიშები მოგერიებულია ჩათვის დიდი ზარალის მიყენებით. მოსპობილია 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა გასტეხეს, რამდენიმე გამაგრებული პუნქტი დაიკავეს და უშუალოდ მიადგნენ მელიტოპოლს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, კიევის ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად. ერთ რაიონში გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი და 100-ზე მეტი ტანკი. გააფთრებული ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. საბჭოთა მებრძოლებმა არტილერიისა და ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით დაუზიანეს და დასწვეს გერმანელთა 67 ტანკი. სატანკო საფარს მოკლებულმა მტრის ქვეითმა ჯარმა უწესრიგოდ დაიხია. ჩვენი მებრძოლები მოწინააღმდეგეს დაედევნენ, ჰიტლერელთა ერთ პოლკამდე ჯარი მოსპეს და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს.

„ილიუშინ-2“ ტიპის 8 თვითმფრინავი, კაპიტან ნესტერენკოს მეთაურობით, მოწინააღმდეგის ტანკების კოლონაზე იერიშობდა. ჰაერში ისინი გერმანელთა 30 ბომბდამშენს შეხვდნენ. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ჩვენი ჯარების და დნეპრზე მოწყობილი გადასასვლელების დასაბომბავად მოდიოდნენ. საბჭოთა მოიერიშე მფრინავებმა გაბედულად და თამამად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგზე და გააფთრებულ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდეს გერმანელთა 8 თვითმფრინავი. ორი მათგანი კაპიტანმა ამხ. ნისტერენკომ ჩამოაგდო.

* * *

გომელის სამხრეთით მოწინააღმდეგემ სცადა მდინარე სოჟის დასავლეთ ნაპირიდან გადმოერეკა ჩვენი ნაწილები და რამდენიმე გააფთრებული კონტრიერიშიც მოიტანა. საბჭოთა ჯარებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიშები მოიგერიეს და პოზიციები გაიუმჯობესეს. ამ ბრძოლებში გერმანელებმა დაჰკარგეს 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი, 4 თვითმავალი და 26 საველე ქვემეხი. გომელის ჩრდილოეთით ჩვენნი ჯარები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან.

* * *

ბარენცის ზღვაში ჩაძირულია გერმანელთა 2 ტრანსპორტი 16.000 ტონა საერთო წყალწყვისა და მოწინააღმდეგის სადარაჯო ხომალდი. გარდა ამისა, სერიოზულად დაზიანებულია მოწინააღმდეგის კიდევ 2 ტრანსპორტი. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ავიაციასთან, რომელიც ბადრაგს იფარავდა, გერმანელთა 15 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტანკერი 5.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

ლენინგრადის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 7 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია რამდენიმე ორთქლმავალი და 68 ვაგონი და პლატფორმა. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში პარტიზანებმა გაანადგურეს 700-ზე მეტი ჰიტლერელი და მოსპეს 2 ქვემეხი, 1 ტანკი, 39 ავტომანქანა და 17 ხიდი. საბჭოთა პატრიოტებმა აიღეთქეს 2 რკინიგზისა და 19 გზაჯაჯიცილის ხიდი და მოწინააღმდეგის აეროდრომზე დასწვეს გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 75-ე ქვეითი დივიზიის 172-ე პოლკის მე-11 ასეულის ეფრეიტორმა ოზეფ ბიულესმა განაცხადა: „ჩვენს დივიზიას თავდაცვა ეკავა ქ. სუმის რაიონში. ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ იქ მოგვიხდებოდა დაზამთრება. ჩვენ რამდენიმე ძელეჭერიანი ბლინდაჟი ავაგეთ და უკანასკნელ დრომდე ვითბუნებდით მათ. უკანდახევა სრულიად მოულოდნელი იყო არა მარტო ჯარისკაცებისათვის, არამედ ოფიცრებისთვისაც. ისინი განცვიფრებული იყვნენ, როცა შეიტყეს, რომ რუსებმა ფრონტი გააღღეთეს. ასტყდა არეულ-დარეული. რუსებმა მოულოდნელად შემოუარეს ჩვენს კოლონებს და თავს დაესხნენ მარჯვენა ფლანგს. მე-11 ასეულმა ერთ დღეში თავის პირადი შემადგენლობის სამი მეოთხედი დაჰკარგა. მაშინ ბატალიონის ნაშთები გაიქნენ. ორი დღის განმავლობაში ფეხით გავიარეთ 80 კილომეტრზე მეტი. სხვადასხვა პოლკებისა და დივიზიების ქვეგანყოფილებათა ნაშთები, რომელთაც რუსები მოსდევდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. სასაცილო იმის ფიქრი, რომ ამ ქანქარმილეულ ადამიანთა უწესრიგო გაქცევა ზემოდან მიღებული რაიმე გეგმით ან ბრძანებით წესრიგდებოდა. ჩვენი ასეულის მეთაური ობერ-ლეიტენანტი ფონ ბერგენი მოჰკლეს. ჩვენ მივხვდით, რომ გამოუვალი მდგომარეობა იყო, და ტყვედ დაგნებდით“.

* * *

ჩერნიგოვის ოლქის დაბა სემიონოვკის მცხოვრებლებმა გადმოგვცეს იმ მხეცობის ამბავი, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს. უკანდახევის წინ გერმანელ ცეცხლსამკიდებელთა სპეციალური რაზმები დაბაში დადიოდნენ მოტოციკლებით, შენობებსა და სამრეწველო ნაგებობებს აფეთქებდნენ და სახლების ფანჯრებში საწვავი სითხით სავსე ბოთლებს ისროდნენ. ჰიტლერელებმა მოსპეს 2 ელექტროსადგური, ფეხსაცმლის ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა, 2 ზეთსახდელი ქარხანა, ხე-ტყის ქარხანა, ორთქლის წისქვილი, პურის საცხობი და სხვა წვრილი საწარმოები. გერმანელმა ბანდიტებმა გაანადგურეს საავადმყოფო, ლაბორატორია და რენტგენის კაბინეტი, დაიტაცეს ძვირფასი აპარატური და სამედიცინო იარაღები. ფაშისტმა ჯალათებმა დასწვეს ტუბერკულოზის დისპანსერი, საბავშვო ბაღი, 5 სკოლა, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, მუზეუმი, კოლმეურნის სახლი, აბანო, სახანძრო დეპო, სტამბა და სხვა შენობები. ოკუპაციის განმავლობაში და უკანდახევისას ჰიტლერელებმა მოსპეს და დასწვეს 1.000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი მშვიდობიან მცხოვრებთა პირად ქონებიანად. გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ათეულ მილიონობით მანეთის მატერიალური ზარალი მიაყენეს დაბის მოსახლეობას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა. 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით საქართველოს კოლმეურნეობების მიერ მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა შესრულებულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით 98,9 პროცენტით, აქედან: ძროხისა და ფურ-კამეჩისა 93,7 პროცენტით და მუშა-პირუტყვისა—90,7 პროცენტით; ცხვრისა და თხის სულადობის საერთო გეგმის 106,5 პროცენტით შესრულებისას დედაცხვრის ხაზით გეგმა შესრულებულია მხოლოდ 94,7 პროცენტით; ღორის საერთო სულადობის გეგმის 100,2 პროცენტით შესრულებისას დედაღორის ხაზით გეგმა შესრულებულია 85,5 პროცენტით.

დიდი ჩამორჩენაა მეცხენეობის განვითარების გეგმის შესრულებაში. 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობების მიერ ცხენის სულადობის წლიური გეგმა შესრულებულია 96,3 პროცენტით, აქედან კვიცისა—75,2 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ მეცხოველეობის გეგმას აგრეთვე სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობები. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 91 პროცენტით, აქედან ძროხისა—87,8 პროცენტით, ღორის სულადობისა—69,4 პროცენტით, აქედან დედაღორისა—85,7 პროცენტით. ცხენის სულადობის გეგმა ტრესტმა შეასრულა 4,8 პროცენტის გადაჭარბებით და ცხვრის სულადობისა—17,8 პროცენტის გადაჭარბებით, ამასთან დედაცხვრის ხაზით გეგმის შესრულებას დააკლდა 2,8 პროცენტი.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან შემდეგი რაიონები:

(წლიური გეგმის პროცენტობით).

რაიონები	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი: სულ	მათ შორის: ძროხები და ფურ-კამეჩები	მუშა-პირუტყვი	ცხენები	ცხვარი და თხა
გეგეჭკორის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ცანავა	92,5%	—	90,2%	95,2%	80,6%
რაიკომის მდივანი ამხ. დარჯანია					
თბილისის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ამირანაშვილი	83,7%	68,7%	67,7%	90,3%	—
რაიკომის მდივანი ამხ. ბაქრაძე					
ყაზბეგის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხუციშვილი	82,3%	64,0%	—	68,4%	96,7%
რაიკომის მდივანი ამხ. მიგრიაული					
ბორჩალოს რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. გულიევი	90,6%	88,0%	81,7%	87,7%	—
რაიკომის მდივანი ამხ. კოჩლაძე					
ბაშკიჩეთის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხუციშვილი	90,8%	86,6%	83,0%	89,2%	—
რაიკომის მდივანი ამხ. მურჯიკნელი					
მცხეთის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. შელეგიშვილი	93,4%	89,7%	86,6%	70,5%	—
რაიკომის მდივანი ამხ. ქართველიშვილი					
ყარაიის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყურბანოვი	93,5%	88,2%	88,7%	88,7%	—
რაიკომის მდივანი ამხ. კუჯიაშვილი					
კასპის რაიონალმასკომის თავმჯდომარე ამხ. გორჯოლაძე	94,6%	93,1%	83,1%	—	—
რაიკომის მდივანი ამხ. ქველაძე					

საქართველოს სსრ უმრავლესი რაიონების კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ უთმობენ სათანადო ყურადღებას მუშა-პირუტყვის სულადობის ზრდის საკითხებს, რის შედეგადაც სახელმწიფო გეგმა მუშა-პირუტყვის ხაზით მნიშვნელოვანწილად შეუსრულებელია.

მეცხოველეობის გეგმის შესრულების არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი აქვს საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ბაშკიჩეთის საუკეთესო პირუტყვის საბჭოთა მეურნეობას (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ივანოვი); მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით საბჭოთა მეურნეობას 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის გეგმა შესრულებული აქვს 86,9 პროცენტით, აქედან ძროხისა 82 პროცენტით, ცხენისა — 77 პროცენტით, ღორის სულადობისა—35,6 პროცენტით. გეგმის შესრულებაში სერიოზულად ჩამორჩენა აგრეთვე მუხრანის ცხენსაშენი (დირექტორი ამხ. ბაჩიაშვილი), რომელმაც ცხენის სულადობის გეგმა შეასრულა 92 პროცენტით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—65,1 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმის შესრულებაში ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია მთელი რიგი რაიონული პარტიული, საბჭოთა, სამეწარმეო ორგანოების, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ჯოგის საკუთარი მომრავლების ხარჯზე პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველსაყოფად, მოზარდიულის შინარჩენებს და გამოზრდის და საზოგადოებრივი პირუტყვის სათანადო მოვლა-შენახვის ორგანიზაციის გზით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა. მთელი რიგი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობები ჯეროვნად არ ხელმძღვანელობენ მიმდინარე წლის პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების ორგანიზაციის საქმეს. უხეში საკვების დაგროვების გეგმა თივაზე გადაყვანილ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის მხოლოდ 35,2 პროცენტით შეასრულეს.

ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან კოლმეურნეობები: თიანეთის რაიონისა, რომლებმაც გეგმა შეასრულეს 14,9 პროცენტით, თეთრი წყაროს რაიონისა — 25,6 პროც., ხაშურისა — 31 პროც., თბილისისა—31 პროც., დუშეთისა — 33 პროც., ყარაიისა — 35 პროცენტით.

რესპუბლიკაში საკვების დასილოსების გეგმის 76,2 პროცენტით საერთო შესრულებისას სილოსის ჩადგმას ფუშავენ კოლმეურნეობები ყარაიის რაიონისა (შესრულება — 8 პროც.), ყვარლის (7 პროც.), თბილისის (18 პროც.), ქარელის (22 პროც.) რაიონებისა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ იმ რაიონებსა და კოლმეურნეობებშიც კი, სადაც თივის თიბვა დამთავრებულია, უხეში საკვები მთლიანად არ არის აღრიცხული და შემოსავლში გატარებული და მიზიდული არ არის პირუტყვის ზამთრის სადგომ ადგილებთან. მინდვრად დატოვებული საკვები არასწორად არის დაზეინული და ფუჭდება. ბევრ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ცხენის სულადობისათვის როგორც უხეშში, ისე კონცენტრირებული საკვების გამოყოფის შესახებ.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პირუტყვის სადგომთა რემონტი და მშენებლობა. მთელ რიგ რაიონებში შესრულებული არ არის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 აპრილის დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება საზოგადოებრივი პირუტყვის სადგომებით უზრუნველყოფის სამუშაოთა 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის დამთავრებას. ეს მუშაობა განსაკუთრებით ცუდად მიმდინარეობს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, გორის რაიონების კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინეს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისაბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიონალმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ პირუტყვის მდგომარეობისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმება, რაც კოლმეურნეობებში მიმდინარეობს, ამასთან დასახონ ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველჰყონ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის მათთვის დადგენილი გეგმის აუცილებელ შესრულება;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ კოლმეურნეობების მიერ კოლმეურნეებთან და სხვა მეურნეობებთან დაკონტრაქტებული მოზარდიული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მიღებას და საკოლმეურნეო ფერმებში მის გადაყვანას. და ეს სამუშაო დაამთავრონ არა უგვიანეს 1943 წლის 1 ნოემბრისა;

გ) თითოეული კოლმეურნეობისათვის დააწესონ პირუტყვის საზამთრო სადგომების ადგილებთან უხეში საკვების მიზიდვის კალენდარული ვადები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველჰყონ ზამთრისათვის საჭირო საკვების სულ მცირე 50 პროცენტის მიზიდვა 1943 წლის 1 დეკემბრისათვის.

საკვების მიზიდვისათვის საკოლმეურნეო ტრანსპორტთან ერთად დამოიყენონ კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ცხენები, აგრეთვე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კუთვნილი ფურ-კამეჩები და ბერწი ძროხები;

დ) 25 ოქტომბრამდე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაამთავრონ მთელი დამზადებული საკვების აღრიცხვა და შემოსავალში გატარება, ამასთან სათანადო აქტების შედგენით გააფორმონ მისი წონით ან ვაზომვით ჩაბარება მეკუჭნავეებისათვის ან ფერმების გამგეებისათვის.

ამავე ვადისათვის დაამთავრონ მუშაობა საკვების ყოველთვიური ხარჯვის ნორმებისა და გეგმების შესადგენად მთელი ზამთრის პერიოდისათვის ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის; დაიყვანონ ეს ნორმები და გეგმები მეცხოველეობის თითოეულ ფერმამდე და ბრიგადამდე, ხოლო ფერმის შიგნით—მომსახურე პერსონალამდე, ამასთან უზრუნველჰყონ საკვების გამოყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

პასუხისმგებლობა საკვების სწორად ხარჯვისათვის დაეკისროთ კოლმეურნეობებში პირადად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

ე) გაატარონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებანი, რისთვისაც მოაწყონ საკვების დანაკლისი რაოდენობის დამზადება აუღებელი სათიბების გათიბვის, წამონაზარდი ბალახების გაცელვის, მინდერებზე ჩალის აღებისა და განმეორებითი გათიბვის გატარების გზით.

მოაწყონ ყველა მეურნეობაში სიმინდის ჩალის აუცილებლად შეგროვება, არ დაუშვან მისი მინდვრად დატოვება;

ვ) უზრუნველჰყონ, რომ მეცხოველეობის საკითხებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 აპრილის დადგენილების შესაბამისად ძირხვენებისა და კარტოფილის მთელი მოსავალი, რაც აღებულია ფერმებთან არსებულ ნაკვეთებზე, მიღებულ იქნას პირუტყვის საკვებად და რომ ყველა კოლმეურნეებს, რომლებმაც მოიყვანეს საკვები ძირხვენებისა და კარტოფილის მოსავალი ფერმებთან არსებულ ნაკვეთებზე, შრომადღეების დარიცხვის გარდა მიეცეთ გეგმის ზევით აღებული მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

ზ) დაიწესონ ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის პიტუტყვის სადგომების მშენებლობის, რემონტისა და დათბუნების, აგრეთვე პირუტყვის ნაგებობათა გაწმენდისა და დეზინფექციის დამთავრების ვადა, იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაოები დამთავრდეს არა უგვიანეს 1943 წლის 15 ნოემბრისა.

ამ დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩამოაყალიბონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სპეციალური სარემონტო-მშენებელი ბრიგადები, რომლებსაც მიამაგრონ ტრანსპორტის საჭირო რაოდენობა;

თ) შეამოწმონ წყლის წყაროების მდგომარეობა და ჯეროვან წესრიგში მოიყვანონ ისინი, სადაც საჭიროა — ამოიღონ ახალი ჭები და მიიღონ სხვა ზომები პირუტყვის სარწყულებლების მოსაწყობად;

ი) მთლიანად დაკომპლექტონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ფერმა მომსახურე პერსონალის კადრებით (ბრიგადირები — ძოვლელები, მეფაბრიკეები, მეღორეები, მწველავები, მწყემსები), მიამაგრონ ცალკეულ პირებს პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობა, არ დაუშვან გაუპატრონება და მუშაკთა ხშირი ცვალებადობა;

კ) ვინაიდან არის ფაქტები, რომ ზოგიერთი კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობების მუშები უდიერად ეპყრობიან მუშა პირუტყვსა და ცხენებს — ზედმეტად სტვირთავენ მუშაობით ხარებს, კამეჩებსა და ცხენებს, ამუშავებენ მოუგებელი აკუზმულობით, დროზე არ ჰკვებავენ და წყალს არ ასმევენ, მუშაობის დროს ჯოხით სცემენ, — დაამყარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასტიკი წესრიგი მუშა პირუტყვისა და ცხენების გამოყენებაში, მოაწყონ ამ მიმართულებით ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებში და აღმოფხვრან ასეთი მოპყრობა მუშა-პირუტყვისა და ცხენებისადმი.

2. წინადადება მიეცეს ყველა რაიონალმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს:

ა) ბოლო მოუღონ გაუპატრონებას ცხენებს მოკლასა და შენახვაში და ნამდვილად გაატარონ ცხენების მიმაგრება გარკვეულ კოლმეურნეებსა და მუშებზე.

დაწესდეს, რომ ცხენებით ყველა სამუშაოს შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომლებზეც მიმაგრებული ცხენები, და გარდა კოლმეურნეობის თავმჯდომარისა, ფერმის გამგისა ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორისა, არავის არა აქვს უფლება დაანებოს სხვა პირს მასზე მიუმაგრებელი ცხენით მუშაობა;

ბ) ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ცხენთა მთელი სულადობისა-თვის მთლიანად გამოჰყოს საკვები იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისაბჭოს 1941 წ. 14 ივნისის დადგენილებით, და უზრუნველჰყონ მისი ცალკე მოთავსება საწყობებში.

ამავე დროს, სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების შესრულების, მტა-ის სამეურნეოთა ნატურანაზღაურებისა და სათესლე ფონდების გამოყოფის შემდეგ, გამოჰყონ საჭირო რაოდენობით საფურაჟე მარცვლეულ-ნ მუშა ცხენებისა და მოზარდიულის კვებისათვის.

კატეგორიულად აიკრძალოს მუშა ცხენებისა და მოზარდიულის კვებისათვის დანიშნული საფურაჟე მარცვლეულის სხვა სახის პირუტყვისათვის ხარჯვა;

გ) გაბერწების თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალოს მაკე ფაშატების მძღვე სამუშაოებზე გამოყენება.

რაიმოწყობებმა დადგენილი წესით აძლიონ მეურნეობებს მაკე ფაშატების დაცვის მოწმოძები.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიონალმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) ერთი დეკადის ვადაში დაამთავრონ პირუტყვის მდგომარეობისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმება, რაც კოლმეურნეობებში მიმდინარეობს, ამასთან დასახონ ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველჰყონ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის მათთვის დადგენილი გეგმის აუცილებელ შესრულება;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ კოლმეურნეობების მიერ კოლმეურნეებთან და სხვა მეურნეობებთან დაკონტრაქტებული მოზარდიული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მიღებას და საკოლმეურნეო ფერმებში მის გადაყვანას. და ეს სამუშაო დაამთავრონ არა უგვიანეს 1943 წლის 1 ნოემბრისა;

გ) თითოეული კოლმეურნეობისათვის დააწესონ პირუტყვის საზამთრო სადგომების ადგილებთან უხეში საკვების მიზიდვის კალენდარული ვადები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველჰყონ ზამთრისათვის საჭირო საკვების სულ მცირე 50 პროცენტის მიზიდვა 1943 წლის 1 დეკემბრისათვის.

საკვების მიზიდვისათვის საკოლმეურნეო ტრანსპორტთან ერთად გამოიყენონ კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ცხენები, აგრეთვე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კუთვნილი ფურ-კამეჩები და ბერწი ძროხები;

დ) 25 ოქტომბრამდე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაამთავრონ მთელი დამზადებული საკვების აღრიცხვა და შემოსავალში გატარება, ამასთან სათანადო აქტების შედგენით გააფორმონ მისი წონით ან ვაზომვით ჩაბარება მეკუჭნავეებისათვის ან ფერმების გამგეებისათვის.

ამავე ვადისათვის დაამთავრონ მუშაობა საკვების ყოველთვიური ხარჯვის ნორმებისა და გეგმების შესადგენად მთელი ზამთრის პერიოდისათვის ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის; დაიყვანონ ეს ნორმები და გეგმები მეცხოველეობის თითოეულ ფერმამდე და ბრიგადამდე, ხოლო ფერმის შიგნით—მომსახურე პერსონალამდე, ამასთან უზრუნველჰყონ საკვების გამოყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

პასუხისმგებლობა საკვების სწორად ხარჯვისათვის დაეკისროთ კოლმეურნეობებში პირადად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს;

ე) გაატარონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებანი, რისთვისაც მოაწყონ საკვების დანაკლისი რაოდენობის დამზადება აუღებელი სათიბების გათიბვის, წამონაზარდი ბალახების გაცელვის, მინდერებზე ჩალის აღებისა და განმეორებითი გათიბვის გატარების გზით.

მოაწყონ ყველა მეურნეობაში სიმინდის ჩალის აუცილებლად შეგროვება, არ დაუშვან მისი მინდვრად დატოვება;

ვ) უზრუნველჰყონ, რომ მეცხოველეობის საკითხებზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 აპრილის დადგენილების შესაბამისად ძირხვენებისა და კარტოფილის მთელი მოსავალი, რაც აღებულია ფერმებთან არსებულ ნაკვეთებზე, მიღებულ იქნას პირუტყვის საკვებად და რომ ყველა კოლმეურნეებს, რომლებმაც მოიყვანეს საკვები ძირხვენებისა და კარტოფილის მოსავალი ფერმებთან არსებულ ნაკვეთებზე, შრომადღეების დარიცხვის გარდა მიეცეთ გეგმის ზევით აღებული მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი;

ზ) დაიწესონ ცალკე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის პიტუტყვის სადგომების მშენებლ

ბრძოლები დნეპრის მარჯვენა ნაპირზე

მოქმედი არმია, 15 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). დნეპრის შუაწელის ერთ-ერთ უბანზე შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება. იმის მიუხედავად, რომ მტერი ძლიერ წინააღმდეგობას ეწევა, რომ მან ახალი რეზერვები ამოქმედა, ჩვენი ჯარები ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებენ პლაცდარმს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გერმანელთა გაფთრებულ კონტრიერიშებს იგერიებენ. თუ რა ხასიათისაა ეს კონტრიერიშები, სჩანს იქიდან, რომ მათში, როგორც წესი, ქოწინაღმდეგის მხარეზე მონაწილეობას იღებს ერთიდან ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი, რომელსაც ათობით ტანკი ეხმარება.

მტრის ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ფრონტის შედარებით ვიწრო უბანზე ტანკებისა და ქვეითი ჯარის მასირებული დარტყმებით შეიანგრიოს ჩვენი ჯარების საბრძოლო წყობილებანი. ამ მიზნის მისაღწევად ჰიტლერელები თავიანთ სახმელეთო ჯარებს მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაციის მნიშვნელოვან ესკადრებს ახმარებენ. მაგრამ გერმანელთა ყველა ცდა—შეაჩერონ შემტევი საბჭოთა ჯარები—მარცხით მთავრდება. ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებენ, ამასთან დიდ ზარალს აყენებენ მას. ჰიტლერელთა მასირებულ სატანკო დარტყმებს უპირისპირდება ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებებში მყოფი ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო და საველე არტილერიის მასირებული დარტყმები. ბრძოლის ველზე, გადასასვლელებზე და ფრონტის ხაზის მისასვლელებზე მტრის ავიაციის მოქმედებას ჩვენი ავიაგამანადგურებლები და მეზენიტეები ფუშავენ. საბჭოთა მფრინავები მტაცედ ინარჩუნებენ ჰაერში ბატონობას.

დნეპრის გაღმა ბრძოლა სულ უფრო და უფრო მეტი ძალით ჩაღდება. ჰიტლერული სარდლობა ზარალს არაფრად აგდებს. ბრძოლის ველები მოფენილია მტრის ათასობით გვამით, მოწინააღმდეგის ასობით დამტვრეული ტანკითა და ქვემეხით. მაგრამ გერმანელთა კონტრიერიშების ძალა არა ნელდება, როგორც ტყვეების ჩვენებიდან სჩანს, რეზერვში მყოფი ზოგიერთი ნაწილი გზიდანვე გამოჰყავთ ბრძოლაში. შებერტყილი ქვეგანაყოფები უკანასკნელი დღეების განმავლობაში უკვე რამდენჯერმე იყო შევსებული. მოწინააღმდეგეს ყველა გამოჰყავს ბრძოლაში—სამარშო ბატალიონები, დამხმარე ნაწილები, უნტერ-ოფიცერთა სასწავლებლები, სასწავლო ქვეგანაყოფები, — რათა წინააღუდგეს ჩვენი პლაცდარმის გაფართოებას მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ხარკოვის, პოლტავის, კრემენჩუგის დივიზიები, რომელთაც დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინის მრავალი სოფელი და ქალაქი გაათავისუფლეს, ახლაც გვიჩვენებენ თავიანთ ოსტატობას მტერთან ბრძოლაში. იმ ნაწილის პოზიციებზე, რომელსაც სკვორცოვი მეთაურობს, გერმანელებმა ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი გამოიყვანეს, რომელთაც ეხმარებოდა 50 ტანკი და „ფერდინანდის" ტიპის 12 თვითმავალი ქვემეხი. დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მებრძოლებმა, რომელთაც მხოლოდ წინა დღეს დაიკავეს დასახლებული პუნქტი, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს სავსებით ჩასაგრებულიყვნენ. ადგილის ნაოჭებში ჯავშანმტვრეველები მოთავსდნენ, გერმანელების მიერ გადამწყვარი ქოხების ნანგრევებს იქით თავიანთი საცეცხლე პოზიციები მოაწყეს არტილერისტებმა, ყველაფერი იქნა ამოქმედებული კონტრიერიშის მოსაგერიებლად. მტრის ავიაციას ბრძოლის ველზე მობარაჟირე საბჭოთა ავიაგამანადგურებლები დახვდნენ.

როდესაც გერმანელთა პირველი ტანკები ბ.-რცვს იქით გამოჩნდნენ, მათ გრიგალივით დაატყდა თავს არტილერიის ცეცხლი. მალე ამოქმედდნენ ჯავშანმტვრეველები, რომელთაც ჩვენი საბრძოლო წყობილებების ზენა კედზე წამოიწიეს. ცეცხლი, რომელსაც ჰტერი წააწყდა, განსაკუთრებით ხშირი იყო. ტანკები შეჩერდნენ და წინ გამოუშვეს ქვეითი ჯარი. ჰიტლერელებს ყველა სახის იარაღის ერთსულოვანი ცეცხლი შეაგებეს. შეთანხმებულად მოქმედებდნენ ნაღმმტყორცნელები, მეტყვეიამფრქვეველნი, სნაიპერები და მეავტომატენი. მალე გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. სისხლისაგან დაცლილმა მტრის ქვეგანაყოფებმა უკან დაიხიეს, ამასთან მთელი გზა ათეულობით გვამებით მოჰფინეს.

ამაო გამოდგა აგრეთვე მტრის ცდა — ფლანგებიდან მოეტანა იერიში სკვორცოვის ნაწილზე. მტერი ყველგან საბჭოთა მეომრების მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. გერმანელებმა 17 ტანკი, 5 თვითმავალი ზარბაზანი და ორ ბატალიონამდე ჯარი დაჰკარგეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ თავდაპირველ პოზიციებზე.

არანაკლებ დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს მეზობელ უბანზეც. ერთი დღის განმავლობაში მტერმა აქ რვაჯერ მოიტანა კონტრიერიში გვარდიის 6 ნაწილზე, ამასთან ერთდროულად 20-40 ტანკი გამოჰყავდა ბრძოლაში.

ყველაზე უფრო გააფთრებული იყო მეშვიდე იერიში. გერმანელებმა ჩვენი ქვეგანაყოფების წინააღმდეგ ერთბაშად 40 ტანკი და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი გამოიყვანეს. გვარდიელები არ შედრკნენ. ისინი მედგრად და მამაცურად იბრძოდნენ. როცა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა, ბრძოლის ველზე დარჩა 8 დაზიანებული და დამწვარი ტანკი და ჯარისკაცთა და ოფიცერთა 200-მდე გვამი.

დნეპრს გაღმა მტრის კონტრიერიშების მოგერიებაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენს არტილერისტებს. უფროს სერჟანტ კონდრატიევის ქვემეხის საცეცხლე პოზიციაზე გერმანელთა 10 ტანკი მოიწევდა. არტილერისტებს განსაზღვრული რაოდენობით ჰქონდათ საონარი მასალა. ამის მიუხედავად, ისინი თამამად შეხვდნენ მტერს. თითოეული ყუმბარა მიზანს ხვდებოდა. ღია პოზიციიდან პირდაპირი დამიზნებით მათ ზედიზედ გამოჰყავდათ მწყობრიდან გერმანელთა მანქანები. მტერმა ვერ შემოაღწია—მისი ტანკები არტილერისტებმა ნამტვრევების გროვად აქციეს.

დნეპრის გაღმა ბრძოლები გრძელდება. ჩვენი ნაწილები თავიანთ პოზიციებს აუმჯობესებენ და პლაცდარმს აფართოებენ მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

ზ. ლიპავსკი

ნივთების მოგებანი ფულისა და ნივთების მესამე ლატარიით

ნივთების მოგებანი ფულისა და ნივთების მესამე ლატარიით, რომლის ჩატარება 25 ოქტომბრიდან იწყება, სხვადასხვა საგნებისაგან შესდგება.

სამკერვალო ფაბრიკებს დავალებული აქვთ დაამზადონ ლატარიისათვის ქალის შალის პალტოები ჯილღაოს საყელოებიანად, ქალის კრავეული მანტოები, კაცისა და ქალის შალის კოსტუმები ფეხსაცმლის საწარმოები ამზადებენ კაცისა და ქალის მაღალხარისხოვან სამოდელო ფეხსაცმელს. „იუველირტორგის" სამმართველო გამოჰყოფს ოქროს. მოოქრულ და ვერცხლის საათებს და ვერცხლის პორტსიგარებს. თურქმენეთის სს რესპუბლიკის სარეწაო კოოპერაცია სპეციალური დაკვეთით ამზადებს დიდ თურქმენულ ხალიჩებს. საფეიქრო საწარმოები გამოჰყოფენ შალისა და აბრეშუმის საკოსტუმე და საკაბე ნაჭრებს. მოსკოვის სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს დავალებული აქვთ დაამზადონ ქალის სატრიკოტაჟო ეკიპაჟები. გთვალისწინებულია აგრეთვე კრავეული ქუდებისა და საყელოების დამზადება.

ლატარიით ნივთების მოგებათა დასაქონლებისათვის გამოყოფილი ყველა საქონელი შეინახება მოსკოვის სპეციალურ ბაზაში. მოგებული ნივთები აქედან საფოსტო ამანათებით დაიგზავნება ლატარიის ბილეთების პატრონთა მისამართებით.

ნავარაუდევია, რომ ლატარიისათვის საქონელი დამზადება და გამოყოფა დამთავრდეს ზომავალი წლის პირველი კვარტალის დასაწყისში.

დეკაშეგი

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 12 ოქტომბერს ღამით ამერიკის მე-5 არმიამ გაფთრებული იერიშები მიიტანა მოწინააღმდეგის პოზიციებზე მდინარე ვოლტურნოს რაიონში. ამ ოპერაციების შედეგად შექმნილია რამდენიმე ახალი ხიდწინა სიმაგრე.

მდინარეზე გადის ქვეითი ჯარი, ტანკები და არტილერია. მდინარის გასწვრივ გრძელდება გაფთრებული ბრძოლები.

მდინარე ვოლტურნოს ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარები ფლოტის დახმარებით კვლავ განუწყვეტლივ მიიწევენ წინ.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ ცენტრალურ გერმანიას.

იერფოტოსურათების მიხედვით, რომლებიც გადაღებულ იქნა ჰანოვერზე ინგლისის ბომბდამშენთა 8 ოქტომბრის თავდასხმის შემდეგ, იერიშის მისიის დაპაჯიმრება რუმინეთში

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). აფის სააგენტოს ცნობით, გესტაპომ და რუმანეთის პოლიციამ ბუქარესტში გაჩხრიკეს იტალიის მისიის შენობა. დაპატიმრებული არიან, როგორც ბადოლიოს მომხრენი, იტალიის დესპანი და მისიის თანამშრომლები. მთელი არქივები კონფისკებულია.

კიბეერიელები საფრანგეთს ძარცვავენ

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). აფის სააგენტო იუწყება, რომ, ვიშის „მთავრობის" ოფიციალური ცნობებით, საფრანგეთმა მიმდინარე წლის 31 მარტისათვის საოკუპაციო ჯარების შესანახად გადაიხადა 234 მილიარდი 100 მილიონი ფრანკი.

გარდა ამისა, გერმანიამ 1 აპრილამდე საფრანგეთში მოახდინა სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის, იქედან 306 მილიარდი 600 მილიონი ფრანკის საერთო თანხის სურსათის რეკვიზიცია.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში

აღდამელ კოლმეურნეთა პასუხად

თელავი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ახერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვას წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. შეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადები და ცალკეული კოლმეურნეები ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ.

სოფ. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა გ. კობიაშვილი, სოცშეჯიბრებაში ჩაება და ყველა სახელმწიფო ვალდებულება გადამეტებით შეასრულა. 9 ოქტომბერს საშემოდგომო კულტურები დათესა 12 ჰექტარზე, ნაცვლად დღიური ნორმით გათვალისწინებული 4 ჰექტარისა. გუთნის-დედები ნასყიდა გარჯაკაული, კოტე ყარაულოშვილი და გიო ფარეშიშვილი ნორმის გადამეტებით დღეში 2.000 კვადრატულ მეტრს ხნავენ.

სოფელ კონდოლის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზამ" (თავმჯდომარე შალვა მესაბლიშვილი) თესვის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულა, დასთესა 135 ჰექტარი, გადამეტებით სთესავს 10 ჰექტარს. სოფელ იყალთოს კოლმეურნეობა „წითელმა სხივმა" (თავმჯდომარე კოტე ბაჩიაშვილი) პირუტყვის გამოზამთრებისათვის ჭზადება ძირითადად დაამთავრა. გეგმის გადამეტებით დაამზადა 200 ცენტნერი საკვები. საქონლის საკვები მიტანილია სადგომებთან, ბინები კეთილმოწყობილია. სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა მ. გიორგანაშვილი, რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა სიმინდის მოსავლის აღება. სიმინდის აღებაში თავი ისახელეს მარიამ რაზმაძემ და ორი მებრძოლის დედამ კატო კეკლაშვილმა. ისინი დღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 27 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ოქტომბრის მეორე ხუთდღიურში პირველ ხუთდღიურთან შედარებით 100 ტონით მეტი მარცვლეული ჩააბარეს სახელმწიფოს და 945 ჰექტარით მეტი დასთესეს.

ს. ქოჩლაძე

100 ჰექტარი გეგმის გადამეჭებით

გურჯაანის რაიონის ედანავის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა გიორგი ზარდიაშვილი, საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა, ნაცვლად დაწესებული 25 ოქტომბრისა, 30 სექტემბრისათვის შეასრულა—დასთესა 200 ჰექტარი. ცოცხალი გამწევი ძალით 80 ჰექტარის ნაცვლად მოიხნა 84 ჰექტარი, ხოლო სატრაქტორო ბრიგადის მიერ 120 ჰექტარიდან—116 ჰექტარი.

აღდამელთა მოწოდების პასუხად კოლმეურნეობამ აიღო ვალდებულება წელს გეგმის გადამეტებით მოხნას და დასთესოს 100 ჰექტარი. ვალდებულებათა შესრულებაზე თავდადებით მუშაობენ არსენ ქაჩლიშვილის, იოსებ იმერლიშვილის და ბაბალე ზარდიაშვილის ბრიგადები.

ნინო ავალიშვილი

ყველა კოლმეურნეობაში შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების გეგმა

ოზნი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობათა უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმები. შუა შქმერის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გაგნიძე) გეგმის გადამეტებით ჰყავს 8 სული მსხვილფეხა საქონელი და 10 სული ღორი, ქვემო ბარის კოლმეურნეობას კი (თავმჯდომარე ციხისელი)—5 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ჯიბრავის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მესხი)—2 სული მსხვილფეხა საქონელი და 19 სული ღორი. აღნიშნული კოლმეურნეობები კარგად მუშაობენ საქონლისათვის საზამთრო საკვების მოსამზადებლად.

რაიონში არის ჩამორჩენაც. ოურის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ხიდეშელი) გეგმით 240 სული მსხვილფეხა საქონელი უნდა ჰყავდეს, ფაქტიურად ჰყავს 228 სული. ჯორნეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჩალაძე) წლიურ გეგმაზე აკლიათ 19 სული საქონელი, ძეგლევის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გუგეშაშვილი)—15 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი. რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

მარო ბერიშვილი

გეგმების შესრულება

მაღლაკის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა 1 ოქტომბრისათვის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 116 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 271 ტონისა გამოუშვა 312 ტონა მზა პროდუქცია. ნედლეულის დამზადების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. მზა პროდუქციის გამოშვება და ნედლეულის დამზადება გრძელდება. ფაბრიკის კოლექტივი ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აღებულია ახალი დამატებითი ვალდებულებანი და სოცშეჯიბრებაში გამოწვეულია წულუკიძის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი.

მაღლაკის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ზოზინა

პარტორგანიზაციის მდივანი თოროთლაძე

* * *

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ფაბრიკამ ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა ვადაზე ადრე 100,2 პროცენტით შეასრულა. ფოთლის მიღება გრძელდება. მზა პროდუქციის გამოშვების 1943 წლის სამი კვარტალის გეგმა შესრულებულია 102.5 პროცენტით.

ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორი კვაჭაძე

* * *

წულუკიძის ფაბრიკამ შავი ბაიხის ჩაის 1943 წლის გამომუშავების გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა 109,5 პროცენტით. ნაცვლად 398 ტონისა გამოშვებულია 435,4 ტონა. 477 ტონა.

ი. ზარაშვილი

* * *

წულუკიძის მტს-მა 1943 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 102,2 პროცენტით შეასრულა. მუშაობაში თავი ისახელეს ვ. ქათამაძის, გ. ცაგარეიშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა და ტრაქტორისტებმა ნ. ფირცხალავამ, დ. რუხაძემ, ა. გორდაძემ.

წულუკიძის მტს-ის დირექტორი ნ. ხვიჩია

მეჯი მარგანეცი მრეწველობისათვის

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს (დირექტორი ამხ. დ. ერგემლიძე) დიდი გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოქტომბრის პირველი დეკადის გეგმა. პირველმა უბანმა, რომელსაც მეხეილ კენჭოშვილი ხელმძღვანელობს, ოქტომბრის პირველი დეკადის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა. სტახანოველები: მიროტაძე, თაბაგარი. გაფრინდაშვილი ცვლაში 30-35 ტონა მარგანეცს იძლევიან.

ოქტომბერში მუშაობა გაუთჯობესა სტალინის სახელობის მაღაროს. ამ მაღაროს კომკავშირული უბანი, რომელსაც ამხ. ევგენი გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს, დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებს. გეგმის გადამეტებით იძლევიან მარგანეცს ის უბნები, რომლებსაც ფოფხაძე, კვარაცხელია და სამხარაძე ხელმძღვანელობენ.

ჭიათურელი მაღაროელები ახალი გამარჯვებებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

„კომუნისტის" წერილების კვადრაკვაე

კოლმეურნეობის უღარდელი თავმჯდომარე

„კომუნისტის" რედაქციამ მიიღო კორესპონდენცია ჭიათურის რაიონის სოფ. ჯოყოეთის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. მოდებაძის არაწესიერი მოქმედების შესახებ. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ვ. მოდებაძე გულგრილად ეკიდება კოლმეურნეობის საქმიანობას, ხშირად თვრება და კოლმეურნეებს უდიერად ეპყრობა. ადგილზე შემოწმებით კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. ეს საკითხი განხილა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ბიურომ. ვ. მოდებაძე მოხსნილია სამუშაოდან. პარტრაიკომის ბიურომ მას გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით.

აქინი და ბაგირი

ფრონტიდან სამშობლოში — ქ. ალმა-ატაში ჩახულმა საბჭოთა კავშირის გმირმა გვარდიის მაიორმა ყაზახმა მალიქ გაბდულინმა ინახულა ყაზახი ხალხის მგოსანი ჯამბული. სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირი მ. გაბდულინი იხმენს ჯამბულის სიმღერას, მიძღვნილს მისდამი. ჯამბულის გვერდით ზის სტალინური პრემიის ლაურეატი მწერალი ს. ი. მარშაკი. ფოტო კ. პოზნიაკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სასპორტო სეზონი დედაქალაქში

მოსკოვი, 11 ოქტომბერი (საკდეს). დამთავრდა საზაფხულო სასპორტო სეზონი. იგი ცოცხლად ჩატარდა და გამოირჩეოდა შეჯიბრებათა სიუხვით. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის ათასობით მცხოვრებმა. ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სტადიონებზე პირდაპირ ფრონტიდან ჩამოსული სპორტის ოსტატები.

თავიანთი მიღწევებით განსაკუთრებით ისახელეს თავი მძლეოსნებმა. მათი შეჯიბრებანი დაგვირგვინდნენ ევდოკია ვასილიევას შესანიშნავი მსოფლიო რეკორდით. მან 2 წუთსა და 12 წამში გაირბინა 800 მეტრი. ამ უკანასკნელ 10 წელიწადში ვერავინ გადაჭარბა ამ დისტანციაზე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს, მიუხედავად ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენ კუბკოვას — 2 წუთი და 12,4 წამი. წარმატებით გამოდიოდნენ რბენის მსოფლიო რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ლეიტენანტი თეოდოსე ვანინი და ალექსანდრე პუგაჩევსკი. ამ სეზონში მათ მოახერხეს თავიანთი წინანდელი მიღწევების გაუმჯობესება.

ლენინგრადის ფრონტზე, მიღებული ჭრილობებისაგან განკურნების შემდეგ მდინარე მოსკოვზე გამართული შეჯიბრების აქტიური მონაწილე იყო მსოფლიო რეკორდსმენი — მცურავი ლეონიდე მეშკოვი. ათასობით მაყურებელი მიიზიდა ტრადიციულმა გაცურვამ, რომელიც გაიმართა გაზეთ „კრასნი სპორტის" პრიზზე. 50 მამაკაცი ეცილებოდა ერთმანეთს ამ პრიზს 2.000 მეტრ დისტანციაზე და 20 ქალი — ერთ კილომეტრზე. პირველობა მოიპოვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ კიტაევმა და ნინო ტრაპეზნიკოვამ. მათ საუცხოო დრო გვიჩვენეს — 27 წუთი და 05 წამი და 14 წუთი და 57 წამი. დიდი მოვლენა იყო სამეფიცინო სამსახურის გვარდიის კაპიტან ისკანდერ ფაიზულინის სარეკორდო გაცურვა. 25 კილომეტრი მდინარე მოსკოვზე მან გადალახა 8 საათსა და 45 წამში.

წლევანდელ სეზონში მეტად საინტერესო იყო შტანგისტების შეჯიბრება მოსკოვის პირადს პირველობაზე. მასში მონაწილეობდნენ ძალოსნები ექვსი წონის კატეგორიისა. საუცხოო შედეგებს მიაღწია მსუბუქი წონის მსოფლიო რეკორდსმენმა ივანე მეხანიგმა. იგი მხოლოდ ამას წინათ დაბრუნდა ფრონტიდან, სადაც ასეულს მეთაურობდა და მედლით იყო დაჯილდოებული. მან მეათეჯერ მოიპოვა მოსკოვის პირველობა.

14 ქალაქის 60 საუკეთესო ტანმოვარჯიშე იბრძოდა პირადი პირველობის გათამაშებისათვის. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ტანვარჯიშში მოიპოვა მოსკოველმა ნიკოლოზ სერიმ. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება კრივის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე. სახელგანთქმული მძიმეწონიანი ნიკოლოზ კოროლევი ხელის დაზიანების გამო გავიდა ჩემპიონატიდან. სრულიად დაუმარცხებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენმა საშუალო წონის ეევგენი ოგურენკოვმა. თავისი 116-ე ბრძოლა მან ჩაატარა თბილისელ მძიმეწონიან ნავასარდოვთან. აჯობა საშუალო წონის ოგურენკოვმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

სეზონი დაამთავრეს ფეხბურთელებმა. მათი თამაში „მოსკოვის თასზე" და დედაქალაქის პირველობაზე ყოველთვის იზიდავდა ათასობით მოსკოველს. „მოსკოვის თასი" ორი წრისაგან შესდგებოდა. „ტორპედოს" საზოგადოების გუნდმა, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ზაფხულის სეზონში, დაუმარცხებლად ჩაატარა ყველა თამაში. „თასის" გათამაშებას მრავალი მოულოდნელობა ახლდა. „სპარტაკის" ცნობილმა გუნდმა მატჩი წააგო ამხ. ვასილკევიჩის ნაწილის ფეხბურთელებთან. მაგრამ საარმიო გუნდიც დაამარცხეს „ტორპედოელებმა". მალე „ტორპედომ" მოუგო მრავალგზის ჩემპიონ „დინამოს" გუნდსაც. ფეხბურთის მოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ „მოსკოვის თასის" ფინალს. „ტორპედოს" წინააღმდეგ გამოდიოდა წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი, რომელმაც წინანდელ ყველა თამაშში ყველაზე მეტი რაოდენობის ქულა დააგროვა და რომელიც აგრეთვე ჩემპიონის წოდების პირველი კანდიდატი იყო. მატჩი ფრედ დამთავრდა 4 : 4. დამატებითს დროში ტორპედოელებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის კარში ბაიტანთ ორი გადამწყვეტი ბურთი და ამრიგად გამარჯვებულნი გამოვიდნენ „თასის" გათამაშებაში. პირველობის გათამაშების შედეგად დედაქალაქის ჩემპიონი გახდა წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი.

ა. სინელნიკოვი

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა

საჩხერე („კომუნისტის" საკ კორ.). სოფ. სხვიტორში, აკ. წერეთლის სახლ-მუზეუმში გაიხსნა აკ. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოასლები, ფოტოდოკუმენტები, აკაკის სხვადასხვა დროისა და მისი მეგობრებისა—მე-19 საუკუნის საქართველოს, რუსეთისა და უკრაინის ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები.

გამოფენა შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან: სოფელი სხვიტორი და მისი მიდამოები, აკაკი სავანეში, აკაკი გიმნაზიაში, აკაკი სტუდენტი, აკაკი მთარგმნელი, აკაკი მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი, აკაკი და 1905 წელი, აკაკი დრამატურგი, აკაკის იუბილე, აკაკის გარდაცვალება და სხვ.

გამოფენის მნახველთა ყურადღებას იპყრობს პლაკატი აკაკის პატრიოტული სიტყვებით: „ქართველებს ყოველთვის გვყოლია მისთანა გმირები, რომელთაც ქვეყნის ფეხზე დგომა შესძლებიათ".

თითქოს ახლა უთქვამსო აკაკის გამოფენაზე წარმოდგენილი სიტყვები:

„ჩვენი ძველების ანდერძსა
ვერ გაგტეხ დიაცურადა,
ან მოვკლავ, ან შეეკვეცეს
ქვეყნის მტერს ვაეკაცურადა".

ამ დღეებში გამოფენას შეემატება ახალი დიდი განყოფილება—აკაკი დიდი პატრიოტი; გამოფენის ერთი განყოფილება მიეძღვნება აგრეთვე იმ მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც სამამულო ომის ფრონტებზე წარგზავნილი არიან საჩხერის რაიონიდან და თავი გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოფენის ერთი განყოფილება ასეთი იქნება: აკაკი და მარგანეცის მრეწველობა. გამოფენის მოწყობას ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ მუშაკი ს. ციორანაშვილი. გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ჯ. ჭიოკაძე

„ტორპედოს" სპორტული ცხოვრებიდან

„დინამოს" სპორტული ცხოვრებიდან

17 ოქტომბერს ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები — სსრ კავშირის ჩემპიონები და ძმეოსნობის რეკორდსმენები უჩვენებენ თავის მიღწევებს.

ამავე დღეს შესდგება ამხანაგური შეხვედრა წითელი არმიის ცენტრალური სახლისა (მოსკოვი) და თბილისის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდში, რომელიც სსრ კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება, შედიან: სსრ კავშირის სპორტის ოსტატები ნიკანოროვი, ბაზავოი, პროხოროვი, ლიასკოვსკი, ვინოგრადოვი, ზლიჩკოვი, გრინინი, ზჩერბაკოვი, შილოვსკი, ზენკინი, ზჩერბატენკო, ნაუმცევი და სხვები საბჭოთა კავშირის საუკეთესო ცენტრ-თავდამსხმელის სსრ კავშირის სპორტის დამს. ოსტატ გრიგორ ფედოროვის მეთაურობით. გუნდის მწვრთნელია სსრ კავშირის სპორტის დამს. ოსტატი ნიკიშინი.

თბილისის ნაკრები გუნდი შედგენილია ქალაქის საუკეთესო ფეხბურთელთაგან — „დინამოს", წითელი არმიის საოლქო სახლის და სხვა გუნდების ოსტატთაგან. ამ გუნდის სათავეშია სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ნაკრები გუნდის კაპიტანი მიხეილ ბერძენიშვილი.

ესტონელ და ქუთაისელ კალათბურთელთა შეხვედრა

ქუთაისი, 12 ოქტომბერი. ბერიას სახელობის ქუთაისის სტადიონზე გაიმართა ესტონელ და ქუთაისელ კალათბურთელთა ორი შეხვედრა. ორივე შეხვედრა მოიგეს ესტონელმა სპორტსმენებმა: პირველი—ანგარიშით 21:23, ხოლო მეორე—28:24.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

16 ოქტომბერს: **სახალპერი**—„მეფის საცოლე". **რუსთაველის** — „კოწანისის გმირები". **მარჯანიშვილის** — „პარტიზანები". **გრიბოედოვის**—„მთავარსარდალი სუვოროვი". **აზერბაჯანული**—„მახაბატა". **მოზარდ მაყურებლის**—ქართ. — „შეხვედრა", რუს.—„რაიკომის მდივანი". **მუსკომედიის** — „არშინ მალ-ალან". **სანკულტურის** — „ბრმა მუსიკოსი".

კინოებში

16 ოქტომბერს: **რუსთაველი** — „ბრძოლები ორიოლისათვის". **ოქტომბერი** — „ალხიდის ჩირაღდნები". **დამკვრელი**—„ეალის მელოდიები". **კომკავშირელი**—„დიდი ბალსი". **სპარტაკი** — „ყაბარდოელი მოჯიროთე". **ლუმპენბურგის სახ.**—„სიმღერა სიყვარულზე". **26 კომ. სახ.**—„მისია მოსკო